

Juliusz Słowacki

იულიუშ სლოვაკი



UNIwersytet Państwowy w Tbilisi
Imienia I. Dżawachiszwili
NAUKOWO-EDUKACYJNE CENTRUM SŁAWISTYKI
ZWIĄZEK KULTURALNO-OŚWIATOWY
POLAKÓW W GRUZJI "POLONIA"

Juliusz Słowacki

Testament mój

Tbilisi 1999

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი
საქართველოს კოლონელთა
კულტურულ-საგანმანათლებლო
კავშირი "Polonia"

იულიუმ სლოვატკი

ჩემი ანდერძი

თბილისი 1999

იულიუმ სლოვაკიმ, ევროპული რომანტიზმის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა სრულყო პოლონური პოეტური ენა და თავისი მაღალნიჭიერი შემოქმედებით ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხედრია. ქართველი მკითხველისათვის სლოვაკი ფაქტობრივად უცნობია, ითარგმნა მისი მხოლოდ რამდენიმე ლექსი. ეს კრებული ქართველი მკითხველის პირველი შეხვედრაა სლოვაკის პოეზიასთან. თარგმანები შესრულებულია სპეციალურად ამ კრებულისთვის. კრებულში შევიდა ლირიკული ლექსები, სონეტები, ოდა.

Juliusz Słowacki należy do elity europejskiego romantyzmu. Doprowadził on do doskonałości polski język poetycki i w wielu wybitnych utworach lirycznych, dramatach romantycznych i poematach osiągnął szczyty, dostępne tylko nielicznym. Czytelnikowi gruzińskiemu Słowacki pozostawał faktycznie nieznany. Niniejszy zbiór liryki jest pierwszym spotkaniem gruzińskiego czytelnika z twórczością poety. Przekłady zostały zrealizowane specjalnie dla naszego zbioru. Książka zawiera odeę, hymny, sonety, wiersze liryczne.

შემდგენელი პროფესორი მარიამ ფილინა
Wybór wierszy i wstęp Profesor Maria Filina

რედაქტორები: პროფ. მარიამ ფილინა, პროფ. ოთარ ბაქანიძე
Redakcja: Profesor Maria Filina, Profesor Otar Bakanidze

ბჭკარელების შემდგენელი დოც. ნათელა ნადიბაიძე
Przekład filologiczny Docent Natęła Nadibaidze

რეცენზენტები: პროფ. თამარ ბელინსკაია, პროფ. ნანა გაფრინდაშვილი
Recenzenci: Profesor Tamara Belińska, Profesor Nana Gaprindaszwili

Opublikowano przy wydatnej pomocy Fundacji „Pomoc Polakom na Wschodzie”.

გამოცემულია „აღმოსავლეთში პოლონელთა დახმარების“ ფონდის თანამონაწილეობით.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999

ს 4603020200
608(06)-99

ISBN 99928-77-72-3

წინათქმა

იულიუმ სლოვაცი (1809-1849) ევროპული რომანტიზმის ელიტას ეკუთვნის. მან სრულყო პოლონური პოეტური ენა და თავისი ლირიკის, რომანტიკული დრამებისა და პოემების ბევრ საუკეთესო ნიმუშში ისეთ სიმღლეებს მიაღწია, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. შთამომავლობამ იგი ადამ მიცკევიჩის შემდეგ პოლონური პოეზიის მეორე უზენაეს გენიად აღიარა. იულიუმ სლოვაციმ გაიარა მძიმე და საკმაოდ მოკლე ცხოვრების გზა, იგი სიცოცხლეში ღირსეულად არ იქნა დაფასებული, მის პოეზიას კი პოეტის სიკვდილის შემდეგაც ეკლიანი გზა ჰქონდა.

ადამ მიცკევიჩის ბედიც, უდავოდ, დრამატული იყო და აღსაესე ხეტიალით, გაჭირვებითა და მოულოდნელი შემობრუნებებით, მაგრამ მათ შორის პრინციპული განსხვავებაც არის. მიცკევიჩი სიცოცხლეშივე აღიარეს წინასწარმეტყველად, მის ყოველ სიტყვას უსმენდნენ და ანგარიშს უწევდნენ თანამედროვენი, მან მთლიანად შეიცნო ამქვეყნიური დიდება. მიცკევიჩის მრავალი ნაწარმოები ითარგმნა ევროპულ ენაზე, ზოგიერთი მათგანი კი რუსულ თარგმანებში დაიბეჭდა ორიგინალის გამოქვეყნებამდე. საქართველოში მიცკევიჩის ლირიკას შემოქმედის სიცოცხლეშივე გაეცნენ. მისი პირველი სონეტები ქართულ ენაზე 30-იანი წლების ბოლოს აუღერდა გიორგი ერისთავის თარგმანებში. ქართველი პოეტი-მთარგმნელების ყველა თაობა მიმართავს პოლონელი გენიის შემოქმედებას, მისი მემკვიდრეობა ფართოდ არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის, რომელმაც იგი გაითავისა და შესისხლხორცა.

სლოვაცი რუსულად ბევრად უფრო გვიან ითარგმნა. მიუხედავად იმისა, რომ მის შემოქმედებას მიმართეს ბ. პასტერნაკმა,

ა. ახმატოვამ და სხვებმა. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი რუსი მკითხველის წინ მთელი სისასხით წარსდგა. ქართველი მკითხველისათვის სლოვაკი ფაქტობრივად უცნობია, ითარგმნა მისი მხოლოდ რამდენიმე ლექსი. საქართველოში არ აღნიშნულა მისი არც ერთი იუბილე. ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სლოვაკი არსობრივად დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ქართველ რომანტიკოსებთან.

მეამბოხე ხასიათი, სულის არაჩვეულებრივი სიმაღლე, თავის თავთან და მთელ სამყაროსთან კამათი აახლოებს სლოვაკის ნ.ბარათაშვილთან. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა პოეტის ცხოვრებისეული საქმე ხდება, ეს კი ეხმიანებოდა ქართველი რომანტიკოსების - ალ. ჭავჭავაძის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების პოეტურ კრედას.

სლოვაკის პოეტიკის ყველა დონეს განსაზღვრავს ყოფიერების ტრაგიკულობის განცდა და ცხოვრების, როგორც კეთილისა და ბოროტის, გამუდმებულ ბრძოლას წარმოადგენს. პოეტის ცენტრალური სახეებია: „მეამბოხე სული“, „მოხეტიალე“, „წინასწარმეტყველი“, „მარტოსული ხომალდი ოკეანეში“. სლოვაკის მუდამ თან სდევს ფიქრები ადრეული სიკვდილის შესახებ, მას უღრმავდება წინათგრძნობა, რომ უცხოებაში დაასრულებს სიცოცხლეს („ჩემი ანდერძი“, „კაპიტან მაიზნერის დაკრძალვა“, „ჩემი სული ღრმად ჩაფიქრდა“ და ა.შ.).

თვით რომანტიკოს პოეტებს შორისაც კი ძნელია მოიძებნოს ისეთი ტრაგიკული ინტიმური ლირიკის მქონე პოეტი, როგორც სლოვაკია. სლოვაკის ბარათაშვილთან აახლოებს ამბლებული უპასუხო გრძობა, შინაგანი შეუძლებლობაც, ბედნიერება მიანიჭოს საყვარელ ქალს და საკუთარ თავს. ორივე პოეტის სასიყვარულო ლირიკა ღრმად სევდიანია, ხოლო სლოვაკის გრძობების პალიტრა კი მერყეობს სევდიანი ელფგიიდან მრისხანე შეჩვენებამდე.

სლოვაკის ლირიკას ლეიტმოტივად გასდევს როგორც საკუთარი, ასევე მთელი თაობის ახალგაზრდა სულის სიბერე.

სლოვაკი გამოდის აჯანყებული ხალხის სახელით, რომელიც მონობისთვისაა განწირული. პოეტის შემოქმედების მისტიციზმს განაპირობებს მისი იმ თანამემამულეების ტრაგიზმი, რომლებიც გარეშე მტრებთან ბრძოლაში დაიღუპნენ, გადაასახლეს ან ძიმე ჭაპანს ეწეოდნენ ემიგრაციაში. პოლონური მსოფლალქმისათვის დამახასიათებელია გამოსავლის ძებნა ან „სულის ფილოსოფიაში“, რომლითაც შეუძლია თავისი გზის სხვადასხვა ეტაპზე არაჩვეულებრივ სიმალღეებს მიადწიოს, ან სასწაულის მოლოდინში. ეს მსოფლალქმა მთლიანად ეხმიანება ქართულ მსოფლალქმას, 1832 წლის შეთქმულების არც ერთი მონაწილე არ მალავდა, რომ პოლონეთის აჯანყება მათთვის სამართლიანი ბრძოლის მაგალითი იყო.

ქართული რომანტიკოსების შემოქმედების სამყაროს და მეორე თაობის პოლონელ რომანტიკოსებს შორის იმდენი მსგავსებაა, რომ ეს თემა სპეციალური შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს. ამ ვითარებაში სლოვაკის შემოქმედება უცნობი იყო ქართველი მკითხველისათვის. პოლონურ-ქართული პოეტური კავშირები ისე ღრმა და ფართოა და იმდენად დიდი ხნის წინ დაიწყო პოლონური პოეზიის თარგმნა ქართულად, რომ ამ არსებითი ხარვეზის არსებობა გასაოცარიც კი არის. სლოვაკის თარგმნა ძალიან ძნელია, იქნებ, ამითაც აიხსნება ის, რომ იგი დღემდე ვერ ახშიანდა ქართულ ენაზე.

ჩვენ დიდ პატივად მიგვაჩნია პირველი ნაბიჯის გადადგმა ამ თვალსაზრისით და ქართულ ენაზე მკითხველისათვის იულიუმ სლოვაკის პირველი კრებულის წარდგენა. მიმდინარე 1999 წელს სრულდება 150 წელი მისი გარდაცვალებიდან. პოლონეთისთვის ეს წელი სლოვაკის წელია, რომელიც აღინიშნება პრემიერ-მინისტრის პროფესორ ეჟი ბუზეკის ხელმძღვანელობით.

საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონია“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ კრებულით ქართველ მკითხველებს აცნობენ რომანტიკოსის

ლირიკულ შედეგებს და თავისი წვლილი შეაქვთ საიუბილეო ზეიმში. რასაკვირველია, ამ კრებულში ლირიკაც კი არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ, შეგვეჩინა ყველა ჟანრი, რომელიც სლოვაკისათვის არის დამახასიათებელი: ოდა, ჰიმნი, სონეტი, ელეგია, სახუმარო ლექსი, დაუთავრებელი მონახაზები. დაუსრულებელი ბრწყინვალე მონახაზები იმდენია მის ლირიკაში, რომ ლამის სპეციალურ ჟანრად იქცეს სლოვაკის შემოქმედებაში. კრებულში წარმოდგენილია სლოვაკის შემოქმედების ყველა პერიოდი - სიყმაწვილეში დაწერილი ლექსებიდან მის უკანასკნელ ლექსამდე, რომელიც სამშობლოსადმი მიძღვნილი. საშუალება მოგვეცა წარმოგვედგინა მისი შემოქმედების ყველა თემატური წრე: სამოქალაქო ოდა და სასიყვარულო ლექსები, ფილოსოფიური ლირიკა და მისტიკური ძიებანი.

კრებულში შეტანილია როგორც სიტყვის ცნობილი ოსტატების, ასევე დამწყები მთარგმნელების თარგმანები. „ჩემი ანდერძი“ - მისი ერთ-ერთი საპროგრამო ლექსი ოთარ ჭილაძის თარგმანითაა წარმოდგენილი (იგი პირველად დაიბეჭდა „მნათობში“ და შესრულებულია 1959 წელს პოეტის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით). დანარჩენი თარგმანები შესრულებულია სპეციალურად ჩვენი კრებულისათვის. მთარგმნელთა შორის არიან ჩვენი საყვარელი პოეტები მიხეილ ქვლივიძე და გივი შახნაზარი. დიდი დამსახურება ამ საქმეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტისა და პოეტის რუსუდან ჭანტურიშვილისა. მან თვითონ შეასრულა თარგმანთა დიდი ნაწილი, მისი ხელმძღვანელობით კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს სლოვაკის შემოქმედების თავიანთი პოეტური ვერსიები. მათ მრავალ პოეტურ კრებულში აქვთ წარმოდგენილი საკუთარი თარგმანები, რომლებიც თსუ ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრაზე შეიქმნა კათედრის გამგის პროფესორ ოთარ ბაქანიძის ხელმძღვანელობით.

გასულ წელს ჩვენ გამოვეცით ადამ მიცკევიჩის ლირიკის კრებული „კურთხევა“, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა საქართველოში და პოლონეთში. წინამდებარე კრებულიც, რომელშიც სლოვაკი ასევე ორ - ორიგინალისა და ქართულ ენაზე აუღერდა, წარმოადგენს პოლონური ლირიკის ქართულ ენაზე ახმთანებული სერიის ერთგვარ დასაწყისს.

სლოვაკი თავის სულს, რომელიც სხეულიდან გაფრინდებოდა, უწოდებდა „სულ-მერცხალს“, „სულ-ტოროლას“. ზეციდან მისი სული კვლავ გაჰყურებს შორეულ მშობლიურ პოლონეთს, რომლის ნახვაც მას არ ეღირსა. სლოვაკის სჯეროდა სულის დამოუკიდებელი არსებობისა. და, მისი სული ახმოვანდეს ქართულ ენაზეც მისი სიკვდილიდან 150 წლის შემდეგ. და, მისი ნაცნობობა ქართველ მკითხველთან იქცეს მხოლოდ პირველ შეხვედრად. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქართველ მკითხველს კიდევ ელის მრავალი შეხვედრა მის ცნობილ დრამებთან და პოემებთან.

მარიამ ფილინა



WPROWADZENIE

Juliusz Słowacki (1809-1849) należy do elity europejskiego romantyzmu. Doprowadził on do doskonałości polski język poetycki i w wielu wybitnych utworach lirycznych, dramatach romantycznych i poematach osiągnął szczyty, dostępne tylko nielicznym. Uznany przez potomnych za drugiego po Adamie Mickiewiczu geniusza polskiej poezji, Juliusz Słowacki przeszedł niełatwą i raczej krótką drogę życiową, nie był doceniony za życia, a i po śmierci jego poezja nie została należycie oceniona.

Los Adama Mickiewicza był niewątpliwie również dramatycznym, wypełniony tułaczką, biedą i nieoczekiwanymi niespodziankami losu. Jednak istnieje tutaj duża różnica. Mickiewicz za życia był już obwołany wieszczem, każde jego słowo było niemal prorocstwem dla współczesnych, on w pełni zaznał sławy. Wiele utworów Mickiewicza zostało przetłumaczonych na języki europejskie, a niektóre tłumaczenia rosyjskie wyszły z druku zanim pojawiły się publikacje w orginalie. W Gruzji wiersze Mickiewicza były znane jeszcze za życia autora, pierwsze jego sonety były tłumaczone na język gruziński przez Georgija Eristawiego w końcu lat 30-ch XIX wieku. Każde pokolenie gruzińskich poetów-tłumaczy sięgało do twórczości polskiego wieszca, i dziedzictwo jego jest dzisiaj dobrze znane gruzińskiemu czytelnikowi, weszło już do świadomości narodu gruzińskiego.

Słowacki został przetłumaczony na język rosyjski o wiele później, i chociaż próby tłumaczenia podejmowali tacy poeci, jak Borys Pasternak i Anna Achmatowa oraz inni wybitni poeci, to nie

można powiedzieć, że został on przedstawiony w całej swej objętości.

Czytelnikowi gruzińskiemu Słowacki pozostawał faktycznie nieznanym. Przetłumaczono zaledwie kilka jego wierszy i żadnego jubileuszu poety tutaj jeszcze nie obchodzono. Niemniej jednak u Słowackiego i gruzińskich poetów-romantyków jest dużo wspólnego.

Bunt jako organiczna część natury, wysoki polot ducha, spór z samym sobą i całym światem – zbliża Słowackiego z Nikołozem Barataszwili. Niepodległość ojczyzny, tragiczny los której jest najwyższą bolączką jego duszy, staje się główną treścią jego życia, i to właśnie credo przyświeca i gruzińskim romantykom: Aleksandrowi Czawczawadze, Grigoła i Wachtanga Orbeliani.

Poczucie tragizmu bytu, życia jako nieprzerwanej walki dobra ze złem, wytycza wszystkie kierunki poetyki Słowackiego. „Buntowniczy duch”, „duch wygnania”, „tułacz”, „prorok”, samotny okręt na oceanie - to główne motywy wykorzystane przez poetę. Rozmyślenia o wczesnej śmierci u Słowackiego wzmacniają się w rezultacie przecucia śmierci na obczyźnie, w pełnym zapomnieniu („Mój testament”, „Pogrzeb kapitana Meyznera”, „Dusza się moja zamyśla głęboko” i inne).

Niewielu poetów, nawet spośród romantyków, było w takim stopniu tragicznymi w swojej liryce intymnej. To wzniosłe nieodwzajemnione uczucie, wewnętrzna niezdolność do ujmowania miłości w radosne tony, uszczęśliwienia umiłowanej i siebie, również zbliża Słowackiego i Barataszwili. Liryka miłosna obu poetów jest przepełniona smutkiem i tęsknotą. U Słowackiego paleta uczuć waha się pomiędzy tragicznymi elegiami a przepełnionymi gniewem przekleństwami.

Starość młodej duszy – własnej i całego pokolenia – stanowi główny motyw w liryce poety. Słowacki występuje w imieniu

uciemnionego narodu. Tragizm jego rodaków, którzy oddali swe życie w powstaniu przeciwko zewnętrznemu wrogowi, zesłanych na wygnanie lub wiodących swój żalony żywot na emigracji, wstysko to określa mistycyzm jego dojrzałej twórczości.

Szukanie drogi wyjścia bądź w „filozofii ducha” zdolnego na różnych etapach swej drogi wspiąć się na nowe szczyty, bądź w oczekiwaniu na cud, jest bardzo charakterystycznym właśnie dla polskiego światopoglądu. Ten światopogląd w pełni odpowiada i gruzińskiemu (nikt z uczestników spisku szlachty gruzińskiej z 1832 r. nie ukrywał, iż polskie powstanie było dla nich wzniosłym przykładem).

Tyle wspólnego w twórczości gruzińskich romantyków i polskiego wieszczka, że temat ten może posłużyć za przedmiot specjalnej pracy naukowej. A mimo to Słowacki pozostawał nieznanym gruzińskiemu czytelnikowi. Polsko-gruzińskie poetyckie stosunki są głębokie i obszerne, przekłady poezji polskiej już tak dawno były realizowane, że nawet dziwnym się wydaje to istniejące zaniedbanie.

Dlatego uważamy za honor, iż to właśnie my możemy zrobić pierwszy krok na drodze do zaznajomienia gruzińskiego czytelnika z poezją Juliusza Słowackiego i oddać na jego ręce pierwszy zbiór jego wierszy. W roku bieżącym, 1999, Polska obchodzi 150 rocznicę śmierci poety. Dla Polski jest to Rok Słowackiego, który przechodzi pod patronatem Premiera profesora Jerzego Buzka.

Nasz Kulturalno-Oświatowy Związek Polaków w Gruizji „Polonia” i Państwowy Uniwersytet w Tbilisi wnoszą poprzez ten zbiór poezji swój wkład w jubileuszowe obchody, zaznajamiając gruzińskiego czytelnika z lirycznymi arcydziełami romantyka. Oczywiście, liryka jest tu przedstawiona wybiórczo. Postaraliśmy się jednak wybrać te gatunki literackie, które są najbardziej charakterystyczne dla Słowackiego: odę, hymn, sonet, elegię,

utwory żartobliwe, niedokończone szkice utworów. Niezakończonych, błyskotliwych szkiców jest tak dużo w liryce poety, że one stają się jakby oddzielnym gatunkiem w twórczości Słowackiego. W zbiorze tym zostały także przedstawione wszystkie okresy twórczości poety: od wierszy młodzieńczych do tego ostatniego, poświęconego ojczyźnie. Udało się nam również przedstawić wzorce wszystkich obszarów tematycznych w jego poezji: odę i wiersz miłosny, lirykę filozoficzną i mistyczne poszukiwania dojrzałego okresu.

Na ten zbiór zebrały się przekłady różnych poetów: znanych mistrzów i początkujących tłumaczy. „Mój testament” – jedno z programowych utworów zaproponowane w przekładzie Otara Cziładze, dokonany w 1959 roku (w związku z 150-leciem narodzin poety) i opublikowany w magazynie "Mnatobi". Pozostałe przekłady zostały zrealizowane specjalnie dla naszego zbioru. Wśród mistrzów – poeci Michał Kwiliwidge i Giwi Szachnazari.

Ogromną część pracy wykonała poetka i docent Tbiliskiego Państwowego Uniwersytetu – Rusudan Czanturiszwili. To właśnie ona wykonała znaczącą część tłumaczeń i pod jej kierownictwem ze swoimi poetyckimi wersjami występują studenci Uniwersytetu. Oni wzięli już udział w wielu poetyckich zbiorach, realizowanych pod kierownictwem profesora Otara Bakanidze.

W ubiegłym roku wyszedł zbiór liryki Adama Mickiewicza „Błogosławieństwo”, który znalazł uznanie i w Gruzji i w Polsce. Niniejszy zbiór poezji, w którym Słowacki zadźwięczał w dwóch językach – w orginalie i w gruzińskich przekładach, stał się jakby początkiem serii polskiej liryki w gruzińskim wydaniu.

Słowacki nazywał swego ducha, ulatującego z ciała „duszą-jaskółką”, duszą-skowronkiem”. Z niebios jego duch spoglądał na daleką Polskę, której nie sądzono mu było zobaczyć w ostatnie

godziny życia. Słowacki wierzył w samodzielne życie ducha. Dlatego, niech jego duch zadźwięczy w języku gruzińskim po 150 latach od dnia śmierci poety, i niech to zaznajomienie gruzińskiego czytelnika z jednym z samych przenikliwych i tragicznych polskich romantyków będzie pierwszym spotkaniem z jego twórczością. Mamy nadzieję, że przed nami – spotkania z znakomitymi dramatami i poematami pisarza.

Maria Filina





ოდა

Oda



სონეტები

Sonety



ლექსები

Wiersze





SONETY

I

Ledwo słońce na wschodzie odstąpi swe lica,
Ledwo spojrzę po cichej, samotnej dolinie,
Mgła się mieni w lży róży i na kwiaty spłynie,
Chyli się pod perłami róża krasnolica.

Zaledwo w serce moje spojrziała dziewica,
Ledwom zaczął żyć dla niej i dla niej jedynie,
Szczęście w lży się zmieniło, mgła omanień ginie,
Błyszczą gorzkimi łzami zalana źrenica.

Luba! szczęścia nie znajdzie, kto w tym sercu skona,
I moich cierpień nigdy wątek się nie skończy;
Bo chociaż lotnym skrzydłem czas przeminie rączy,

Choć nasze dusze przejdą do wieczności łona,
Gdy twoja tak spokojna, moja tak zwichrzona,
W niebie się nawet dusza z duszą nie połączy.



სონეტი

I

ზეცით როგორც კი გაბრწყინდება მზეი აღსავლის,
როგორც კი ველთ უჩუმართ გადაეველება,
მრუმე იქცევა დილის მარგალიტის ცრემლებად
და ვარდის ბუჩქი სასწაულად უმალ თავსა ხრის...

გრძნეულ ქალწულმა ოდეს გულსა შიგან ჩამხედა,
როგორც კი მისთვის, მხოლოდ მისთვის ვიწყე ცხოვრება,
უმალ ვიგრძენი ბნელში სულის გასხივოსნება
და მესალბუნა ბრწყინვალეების მისის გამხელა...

ო, სიყვარულო! ბედის ჩარხის ბრუნვა თუ ურევს
თავგზას ჩვენს ყოფას, წალმა ბრუნვის მისის მტერია, -
იგი წყვეტს კავშირს ჩვენ შორის და გვიქრობს კერიას, -

რამეთუ კუთვნილს უკვდავების, სასწაულს უღევს -
შენს უშფოთველს და ჩემს მშფოთვარეს - გარდასულ სულებს
ცათა შინაც კი შეერთება არ უწერიათ!



SONETY

I

Ledwo słońce na wschodzie odsłoni swe lica,
Ledwo spojrzy po cichej, samotnej dolinie,
Mgła się mieni w łzy róży i na kwiaty spłynie,
Chyli się pod perłami róża krasnolica.

Zaledwo w serce moje spojrzała dziewica,
Ledwom zaczął żyć dla niej i dla niej jedynie,
Szczęście w łzy się zmieniło, mgła omanień ginie, ó
Błyszczą gorzkimi łzami zalana źrenica.

Luba! szczęścia nie znajdzie, kto w tym sercu skona,
I moich cierpień nigdy wątek się nie skończy;
Bo chociaż lotnym skrzydłem czas przeminie rączy,

Choć nasze dusze przejdą do wieczności łona,
Gdy twoja tak spokojna, moja tak zwichrzona,
W niebie się nawet dusza z duszą nie połączy.



სონეტი

I

აღმოსავლეთით როს ამოვა მზე დიდებული
და მყუდრო ველებს მედიდურად ცქერას დაუწყებს,
წყვდიადი ცრემლად ჩამოვა ყვავილთა ფურცლებს,
ვარდი თავს დახრის, დილის ცვარით დამძიმებული.

როდესაც გულში ჩამისახლდა ნაზი ქალწული,
როცა დავიწყე მხოლოდ მისთვის ცხოვრება ქვეყნად,
წყვდიადი გაქრა, სიხარული გადიქვა ცრემლად
და ამ ცრემლებმა გააბრწყინეს თვალები ჩემი.

ძვირფასო, ლხენას ვერა ჰპოვებს ვინც შეგიყვარებს,
არც ჩემ სატანჯველს არ ექნება ოდესმე ბოლო
და გაგრძელდება სამუდამოდ! დრო მიღის მხოლოდ!

ჩვენი სულები შენი მშვიდი, ჩემი - მშფოთვარე,
მარადისობის საძიებლად გადავლენ ღმერთთან,
თუმც არც ზეცაში იქნებიან ისინი ერთად.



SONETY

II

Zwarzyła jesień kwiaty nad brzegiem strumyka,
Wiatr szumiąc zesłych liści tumanami miota;
Błyszczą dąb koralowy, błyszczą brzoza złota,
A jaskółkę wewnętrzny niepokój przenika.

Już czas lecieć - gdzieś w sercu znajdziesz przewodnika.
Już czas lecieć, wewnętrzna uczy cię tęsknota.
Siedzi smutna nad gniazdem, skrzydełkiem trzepota,
Zrywa się - podleciała - mignęła i zniaka.

Jaskółka miała wrócić, nim zefir zawionie,
Pod strzechę, której nieraz doznała opieki,
Lecz ją w przelocie morskie pochłoneły tonie.

Lauro - ja nieszczęśliwy, idąc w kraj daleki
Myślę, że wrócę kiedyś spocząc na twym łonie...
Próżne marzenia! - żegnam, żegnam cię na wieki.



სონეტი

II

შემოდგომაა და წყაროზე დაჭკნა ყვავილი,
ქარმა აშალა ჩამოცვენილ ფოთოლთა კორდი,
მუხა მარჯნებით და არყისზე ბრწყინავს ოქროთი,
მერცხლის სული კი რალაც შფოთვით არის ავსილი.

- დროა, გავფრინდეთ, ხარ მეგზურის გულში მპოვნელი,
გავფრინდეთ, - უხმობს იღუმალი მერცხლის მოლოდინს,
მოწყენილია, უნდა გაჰყვეს ძახილს ბოლომდის,
რტოებს მოწყდება და დამალავს სივრცე სოფელი...

როცა გაისმა შორ ქროლვათა ნარნარი ქორო,
ამ სხვენზე აღარ მოფრენილა მერცხალი კვალად,
რადგან ფრენისას ზღვის ტალღებში ეპოვა ბოლო.

ლაურა! შორეთს მიმავალი უბედურ მგზავრად,
იქნებ დაგბრუნდე და შენს გულზე სიმშვიდე ვპოვო,
მაგრამ ფუჭია ეს ოცნება... მშვიდობით მარად.



SONETY

III

Duszo! śpij, duszo moja, coś cierpiała tyle.
Twój Anioł cię opuścił i szczęście się zmienia.
Śpij! ach śpij, duszo moja, dopóki z uśpienia
Nieśmiertelny głos Boga nie wyrwie cię mile.

Śpij, serce, już dla ciebie znikły szczęścia chwile,
I na cóż się masz budzić na same cierpienia?
Śpij, lutni! próżne, próżne twoje smutne brzmienia,
Ja sam zasną niedługo w głębokiej mogile.

Tak wędrowiec, grożącej śmierci niedaleki,
Choć już do dna wychylił trucizny napoje,
Jednak długo się męczy, nim zawrze powieki.

Ja, co piłem tak słodkie, zgubne szczęścia zdroje,
Piłem śmierć z rozkosz czary i zasną na wieki!
Lecz nim zasną - ach biedne, biedne serce moje!



სონეტი

III

იძინე სულო! მოსვენება მიეც სიმძიმის! -
დაგტოვა სატრფომ, მარტოსულის აღსრულდა ბედი! -
იძინე სულო უდრტვინველად, ვიდრემდი ძალით
არ გამოგიხმობს უკვდავი ხმა მაღალი ღმერთის...

იძინე გულო! უბედობით, ვიცი, ვევენები, -
ან რისთვის გინდა გაღვიძება, რატომ, რის გამო?! -
სევდიანია შენი ჰანგი, იყუჩე ქნარო,
დადუმდი, მალე სამარეში ჩავესვენებით!

ასეა მგზავრი - წუთისოფლის უღმობელ სამანს
ვიდრე გასცდება, უცებ დასცლის ფიალას შხამის
თვალებს ტანჯული სამუდამოდ დახუჭავს სანამ,

მე კი, ვინც თითქოს უკვდავების ვიმრავლე წამი,
თურმე სიკვდილის ვცლიდი სასმისს, მწყურვალი, მრავალს,
და სამუდამო მიძინების ვერთვოდი ამინს.



SONETY

III

Duszo! śpij, duszo moja, coś cierpiała tyle.
Twój Anioł cię opuścił i szczęście się zmienia.
Śpij! ach śpij, duszo moja, dopóki z uśpienia
Nieśmiertelny głos Boga nie wyrwie cię mile.

Śpij, serce, już dla ciebie znikły szczęścia chwile,
I na cóż się masz budzić na same cierpienia?
Śpij, lutni! próżne, próżne twoje smutne brzmienia,
Ja sam zasną niedługo w głębokiej mogile.

Tak wędrowiec, grożącej śmierci niedaleki,
Choć już do dna wychylił trucizny napoje,
Jednak długo się męczy, nim zawrze powieki.

Ja, co piętak słodkie, zgubne szczęścia zdroje,
Piłem śmierć z rozkosz czary i zasną na wieki!
Lecz nim zasną - ach biedne, biedne serce moje!



სონეტი

III

ჩაიძინე სულო ჩემო! დღეს ყოველი გაქრა,
ჩაიძინე ამოდ, შვებით, ჩაიძინე მანამ
არ მოგიხმობს უფლის მოალერსე, მშვიდი ხმა და
არ მოგქარგავს ისევ სასიცოცხლო ძაფით ქარგა!

ჩაიძინე გულო, სვე წაიღეს დროის ქართა,
დაიცალა შენთვის სიფერადე ლამაზ წამთა,
მეც სამარე მალე მელის, დინებაა ჟამთა,
დავდუმდები, არ ღირს სევდიანი ჟღერა ქნართა!

როგორც ყველა მგზავრი მეც მოვედი ბოლო კართან,
დღეს სიკვდილი შევსვი, სავსე აზარფეშით, რადგან,
შემიფარებს მალე დედამიწის თბილი კალთა!

ამ მიწაზე რა ვსვი ცდუნებების შხამის გარდა,
მაინც მინდა წუთიერად შემაყოვნოთ და ვთქვა:
მებრალეები გულო, მებრალეები, მაგრამ რა ვქნა!



SONETY

IV

Czyliż kto duszy mojej wrócić szczęście zdoła?
Czyliż kiedy z łez gorzkich oschnie ma źrenica?
Ta, która tak kochałem, anielska dziewica
Litością już nie spędzi smutków z mego czoła.

Może kiedyś na łonie innego anioła
Czoło moje rozjaśni szczęścia błyskawica;
Lecz szczęście to nie potrwa! znów ściemnieją lica,
A serce chwil przeszłości z rozpaczą zawoła.

Choć róża raz na wiosnę kwitnie i opada,
Zdarza się, że w jesieni znowu się rozwija,
Lecz wtenczas taka wątła, wysiłona, blada.



სონეტი

IV

ნეტავ ვის ძალუძს, რომ გალახულ სულს არგუნოს ძველი
ბედნიერება?!

ნეტავ ვის ძალუძს, რომ ამოუშროს ცრემლის მორევი დაღალულ
თვალებს?!

ის ერთადერთი, ჩემი მფარველის და ანგელოზის ნანატრი ბაგე,
ღვთიური კოცნით, სინატიფით და სათნოებით მაჩუქებს შვებას.

იქნებ ბედისგან გამათრახებულს კვლავ სიყვარული მეწვიოს სტუმრად?!

ჩემს შუბლს დააჩნდეს ნათელ გზასავით სხვა ანგელოზის
ამბორის კვალად,

მაგრამ წყეული დრო რას დაგვაცლის?! - უბედურების
დადგება ჟამი,

გული კი სევდით შეწუხებული წარსულის სიტკბოს ჩამარხავს ჩუმად.


ვარდი ყვავის და იფურჩქნება გაზაფხულობით,
თუმცა, ხანდახან შემოდგომაც ახარებს ყვავილს,

მაგრამ ვაი, რომ მოწყენით და უფერულობით!

თუ ერთხელ ბედმა ზურგი მწარედ შემოგაქცია -- ნუღარ მოელი...


Tak choć szczęście nie wraca, gdy raz czleka mija,
Czasem przed zgonem uśmiech na licu osiada,
Ale i w tym uśmiechu już się śmierć przebija.

1827 r. Wilno



ლიმილნარევი სინანულით გაგახსენდება ყველა, ყოველი,
სევდასთან ერთად შეგაძრწუნებს გრძობა ნაცნობი - გრძობა
სნეული,
სიკვდილის ლანდი - ნისლისფერი, დამცინავი და შორეული...

ვილნო, 1827 წ.





ODA DO WOLNOŚCI

I

Witaj, wolności Aniele,
Nad martwym wzniesiony światem!
Oto w Ojczyzny kościele
Ołtarze wieńczone kwiatem
I wonne płoną kadzidła!
Patrz! tu świat nowy - nowe w ludziach życie.

Spójrzal - i w niebios błękiecie
Malowne piüry złotymi
Roztacza nad Polską skrzydła;
I słucha hymnów tej ziemi.

II

A tam już w cieniu wieków za nami się chowa
Duch niewoli i dumną stopą depta trony.
Zgina się pod ciężarem skrwawionej korony,
Mówi - ale niezrozumiale z ust wychodzą słowa.
Tak obelisk, co niegdyś pisany wyrazem



ოდა თავისუფლებას

I

მოგესალმები, ანგელოზო თავისუფლების,
მკვდარ სამყაროზე აღმართულხარ, სახენათელი!
სამშობლოს საყდრებს აკაშკაშებს კრთომა სანთლების,
შემკობილია ყვავილებით საკურთხევლები
და ყველგან, ყველგან სურნელება არის საკმევლის.
ფერი იცვალა ამ სამყარომ, გახდა ახალი.
სიცოცხლე ჩქეფს და გამოცოცხლდა ხალხი საწყალი.
შენ ოქროს ფრთებით დაგიფარავს ცა პოლონეთის
და მადლიერი პოლონეთი ჰიმნებს მოგიძღვნის.

II

უკან დარჩა და მიეფარა საუკუნეებს
მონობის სული, აღარ არის ოქროს ტახტები.
არც გვირგვინები, არც მოახლენი მათი თანმხლები.
წარსულის ხმაურს ყურს არავინ აღარ დაუგდებს.
ვით ობელისკი, რომელზედაც ოდესღაც მცნება

Dziwił ludy, obwiany mgłą kadzidel dymu,
Dziś przeniesiony do Rzymu,
Niezrozumiały ludom - umarły - jest głazem.

III

Niegdyś Europa cała
Była gotyckim kościołem.
Wiara kolumny związała,
Gmach niebo roztrącał czołem...
Drżącym od starości głosem
Starzec poczyłony laty
Trząśł dumnych mocarzy losem,
Zaglądał w królów siedziby;
Zaledwo promyk oświaty
Przez ubarwione gmachu przedzierał się szyby.

Jakiś mnich stanął u proga,
Kornej nie uchylił głowy,
Walczył słowami Boga
I wzgardził świętymi kary.
Upadł gmach zachwiany słowy.
Błysnęły światła promienie...
Pierwsze wolności westchnienie
Było i westchnieniem wiary.

ამოეტვიფრათ, სურნელებით იყო მოსილი,
ხალხს აკვირვებდა მაღალი და ძლევამოსილი,
ახლა უქმად დგას, აღარ ძალუძს გულთა ანთება.

III

ოდესღაც იყო მთელი ევროპა
ვით გოტიკური ტაძარი ერთი.
რწმენამ აერთა ყოველი სვეტი
და ცად აზიდა დიდი შენობა.
ვით ბერიკაცი კიდევ ძლიერი,
მაგრამ სიბერით ხმა რომ უთრთოდა,
მეფეთ პალატებს ედგა დარაჯად,
ჩაგრულთა შველა სულაც არ სურდა.

მაგრამ მოადგა ამ ტაძარს ბერი,
იყო მართალი, სძულდა მონობა,
რაც გულში ჰქონდა თქვა ის სათქმელი,
შეაზანზარა მთელი შენობა.
ჩამოიშალა ყოველი სვეტი,
თავისუფლების მოისმა სუნთქვა
და ნანგრევებზე სხივები მზისა
ბრწყინავდა. აღარ ისმოდა ურვა.

IV

Jak sosny niebotyczne urosli królowie.
Deptane prawa ludów gdziez znajdują mściciela?..
Na Albijonu ostrowie
Kromwel. - Któż nie zna Kromwela?..
Od dawna krwią Stuartów zalał stopnie tronu
I nie chciał na nie wstąpić - on pogardził tronem.

I czymże dzisiaj jest król Albijonu?
Błyszcząca mara - widziadło,
Księżyc na niebie zamglonym,
A słońce praw oświeca tę postać wybladłą.

Ale wielcy mężowie zasiedli do steru,
Świątynią praw dźwigają tysiączne kolumny, -
Patrzcie, jak długim rzędem za trumnami trumny
Wchodzą w posępne gmachy Westminsteru.

V

O świat nowy hiszpańskie uderzyło wiosło,
Tam brat zaprzedał brata...
Na łądzie nowego świata
Żałobne drzewo wyrosło,
Pod którym schyleni w trudzie,

IV

მეფენი ცისკენ აღმართულან ფიჭვების მსგავსად.
სად ჰპოვოს მცველი ალბიონის საწყალმა ხალხმა?
იყო კრომველი - ვინ არ იცის მისი სახელი?
მან სტიუარტების სისხლში ჩაძირა ტახტის საყრდენი.
შემდეგ კი აღარ მოისურვა იმ ტახტზე ასვლა.
არად მიაჩნდა და არც ჰქონდა იქ დასაყრდენი.
ან კი ვინ არის დღესდღეობით ალბიონთ მეფე?
ლანდად ქცეულა, თუმცა ბრწყინავს ეს მოჩვენება.
ბრწყინავს ვით მთვარე ბურუსიან, ნისლიან ცაზე.
მზის შუქზე ქრება ეს ფერმკრთალი სუსტი ნათება.
უფლებამოსილთ ხელთ უპყრიათ მმართველის საქვე,
წმინდა კანონი იმართება უწმინდურთ ხელით.
ხედავთ კუბოებს? ამ კუბოთა მწკვრივია გრძელი.
მათ შეიფარავს უესტმინსტერის კედლები ბნელი.

V

ახალ ქვეყანას ესპანელთა მოადგა გემი
და ამერიკამ ძმათაგაყიდვის სუსხი იგემა.
იქ გაიზარდა ხე გლოვისა უზარმაზარი
და ბევრი ახსოვს იმას თავის ტოტებქვეშ მკვდარი.

Marząc o szczęściu boleśnie,
Usypiali tłumem ludzie,
Tłumami konali we śnie.

I śmiercią sen płacili - bo o lepszej doli
Pod tym się drzewem ludziom o wolności śniąło.
Było to drzewo niewoli,
Rosło nad grobem - świat już był jedną mogiłą.

Ostatni więc człowiek skona,
Śmiercią z należnych władcom wypłaci się danin?
O nie! na głos Waszingtona
Zmartwychwstał Amerykanin
I zaprzysiężoną święcie
Wolność okrył wieńcem sławy.

A drzewo śmierci było masztem na okręcie
I zgon niosło na ludy saksońskie - i nawy.

VI

Więc słońce już w wolności krajach nie zachodzi?
Wolności skrzydła całą osłoniły ziemię.
Godnym jest oczu Boga wolnych ludzi plemię
On bohaterów nagrodzi.

ხალხი, რომელიც სულ შრომობდა ღამითაც და ღღეც,
იქ მიწვებოდა ხოლმე ზოგჯერ, ილაგამწყდარი.
ესიზმრებოდა სანუკვარი თავისუფლება
და მხოლოდ სიზმრად ჰქონდათ ამის ნახვის უფლება.
კვდებოდნენ იქვე, მშვენიერი სიზმრით დამტყბარნი
და არ ნანობდნენ ცხოვრებაში ის ბედდამწვარნი.
მონობის იყო ის ხე, რადგან კუბოზე იდგა
და ის სამყარო უკვე ერთ დიდ საფლავად იქცა.
მაგრამ თუ ბოლო, ბოლო კაციც გარდაიცვლება,
ვინ მოიხადოს ქვეყნის ვალი, როგორ ინება?
მაგრამ ო, არა! ვაშინგტონის მჭექარე ხმაზე
ბოლოს მომკვდარი აღსდგა, თანაც ბრძოლა იქნება
და დაღო ფიცი: სიკვდილი ან თავისუფლება!
სიკვდილის ხე კი გემის ანძა ყოფილა თურმე.
საქსონელთათვის დაღუპვის ან ბრძოლის მოსურნე.

VI

თავისუფლების ქვეყანაში მზე არის მუდამ,
თავისუფლებამ ფრთაგაშლილმა მოიცვა მიწა.
დააჯილდოებს ღმერთი გმირებს, რალა თქმა უნდა,
ვინც შვება მისცა და დაიცვა ეს ღედამიწა.

VII

Jakiż to dzwon grobowy
Z wiejskiego zabrzmiał kościoła?
Idzie tłum pogrzebowy -
Schylone do ziemi czoła;
Trumna - za trumną dzieci,
Smutna przyjaciół drużyna
Błądą gromnicą świeci,
Ciche modły powtarza.
Weszli we wrota cmentarza,
Pod trumną ramię syna.
Czarną dręczeni rozpaczą,
Czarną okryci żałobą...
Czemuż płaczą nad sobą?
Bogata wezmą spuściznę.
Dlaczegoż nad nim płaczą?
W grobie zapomni troski...
Bracia! - on umarł - on był ostatnim z tej wioski,
Co widział wolną ojczyznę.
Synowie jeszcze po nim nie zdjęli żałoby,
Już na wolnej żyją ziemi.
Idźmy więc nad ojców groby,
Wołajmy, bracia, nad nimi -
Może usłyszą w mogile?..

VII

რა გლოვის ზარი ისმის ახლა ეკლესიიდან?
სამგლოვიარო პროცესია მოემართება.
თავდახრილ კაცებს ცრემლი მოსდით, რა ემართებათ?
კუბო და ბავშვთა მწუხარება, გლოვა, ვაება.
დამწუხრებული მეგობრები სანთლებით ხელში
მიდიან მწყობრად და ნაკადი აღარ მთავრდება.
მივიდნენ უკვე, სასაფლაოს შევიდნენ კარში,
კუბო ასწიეს, შეენაცვლდნენ ერთმანეთის მხარში.
დატანჯულია სუყოველი მათგანი სევდით,
ძაძით მოსილან შეპყრობილნი ამ მწუხარებით.
რად დასტირიან ნეტა ახლა ასე თავის თავს?
და ვინც წავიდა რად სტირიან ასე მწარედ მას?
მისგან მოვლით მათ მდიდარი მემკვიდრეობა,
მას კი საფლავში - სიმშვიდე და კეთილდღეობა.
იქ, სამარეში დაავიწყება სევდა - ვარამი...
მან ბოლომ ნახა ეს სამშობლო თავისუფალი.
უკანასკნელი იყო იგი ამა სოფლიდან,
გამოიყვანა ვინც სამშობლო - ტყვე მონობიდან
და თავის შვილებს მოუპოვა თავისუფლება.
უნდა ვიბრძოლოთ! ჩვენც, ჩვენცა გვაქს ამის უფლება.

VIII

Widziałem, jak młodzieniec w samej wieku sile,
Strawiony własnym ogniem - przeklął ogień duszy.
Wołał: - "Czemuż Bóg więzów moich nie rozkruszy?.."
Lecz wszędy cichość grobowa;
A więc sam odpowiadał: - "Jestem panem życia!" -
Okropne rozpaczy słowa!
Z umysłowych władz rozbicia
Została ta myśl straszliwa.
I bladeść śmierci lice wyniosłe okrywa.
Ta jedna myśl tysiączne urodziła myśli;
Straszna cierpienia potęga,
Umysł je rozwija - kryśli,
Z niedowiarstwa marą sprzęga...
O niedowiarstwo! Ty piekieł pochodnią
Niszczysz mgłę marzeń i blask urojenia złoty.
Gdzież cnota?.. nie ma cnoty!..
I zbrodnia nie jest zbrodnią.
Na niepewnej wazysz stali
Wzniosłe uczucia w człowieku...
Już wszyscy tak myśleli - wszyscy wołali,
Jest to chorobą czasu! - jest to duchem wieku!
Ta ciemność była tylko przepowiednią słońca.
Wolności widzimy Anioła,

VIII

გავსწიოთ ძმებო! ჩვენც მივადგეთ მამათ საფლავებს.

ვიყვიროთ, იქნებ გაიგონონ ჩვენი ვედრება.

ცუღზე ცუდი ვთქვათ, კარგებზე - კარგი, ვიხსნათ მამული
და აღვიდგინოთ დაკარგული ჩვენი ღირსება.

თორემ რა ხდება? ადამიანს ფულით ზომავენ.

ავადმყოფური ღღეს გამეფდა სულისკვეთება.

უნდა დავძლიოთ, უნდა დავგმოთ ზნე უკეთური,

ვიჩქაროთ ძმებო, მალე ჩვენი მზეც გაბრწყინდება.

ხედავთ, გამოჩნდა ანგელოზი ოქროსფრთიანი,

თავისუფლების მოყვარული, იმედიანი.

თავები მალლა! წინ იარეთ! ყველანი გემზე!

საჭე ხელთ ვიპყრათ, ნუ გვაშინებს ლურჯი ზღვის სიღრმე!

რომც გადავვარდეთ, რომც ჩავვარდეთ ამ ზღვის ტალღებში,

მაინც ვიბრძობლოთ, უკუვაგდოთ სულმდაბალთ შიში.

ვგავართ მყვინთავებს, ზღვის ტალღებში რომ დაღუპულან,

ან იმათ, ვისაც ზღვის სასტიკი მორევი ითრევთ.

Wolności powstał obrońca.
Podnieście wybladłe czoła!
Dalej do steru okrętu!
Dalej! na morskie głębinie!
Rzućmy się w odmęt - z odmętu
Może niejeden wypłynie!
Podobni do nurków tłumu,
Co do morskiej toną fali,
Wśród wirów kręceni szumu,
Już ich fala w głąb porywa;
Ale niejeden wypływa,
Bliski brzegu lub daleki,
Ten niesie gałąź koralu,
Ow w Amfiryt trąbę dzwoni.
Lecz niejeden zniknie w toni,
W morzu zostanie na wieki.



ბევრი თავს აღწევს ცურვით უკვე ილაგამწყდარი
და ზღვის სიღრმიდან გამოგლეჯილ მარჯნის ტოტს გვიქნევს.
ამფიტრიონის საკრავისაც გაისმის ხმები,
გადარჩენილნი ზღვის სტიქიას უკრავენ ძმები.
თუმცა ბევრმა კი საუკუნოდ დახუჭა თვალი,
მაგრამ დატოვა საუკუნოდ ნათელი კვალი.





HYMN

Bogarodzico, Dziewico!
Słuchaj nas, Matko Boża,
To ojców naszych śpiew.
Wolności błyszczy zorza,
Wolności bije dzwon,
Wolności rośnie krzew.
Bogarodzico!
Wolnego ludu śpiew
Zanieś przed Boga tron.

Podnieście głos, rycerze,
Niech grzmią wolności śpiewy,
Wstrząsną się Moskwy wieże.
Wolności pieniem wzruszę
Zimne granity Newy;
I tam są ludzie – i tam mają duszę.

Noc była... Orzeł dwugłowy,
Drzemał na szczycie gmachu



ჰიმნი

გვისმინე ქალწულო, წმინდაო მარიამ,
აქდერდა უკვდავი სიმღერა მამათა,
ეს თავისუფლების მომტანი ზარია,
ბორკილთა დამსხვრევის ხმა ცაში ავარდა.

ღე ქუხდეს ყოველგან ხმა თავისუფლების,
რომ კოშკებს მოსკოვის შეუდგეთ ზანზარი,
ცვილივით გააღნოს მან ნევის გრანიტი,
იქაურთ გაუთბოს გულები დამზრალი!

ორთავა არწივი უკუნეთ ღამეში
წამახულ შპილს აჯდა ნახევრად მთვლემარე,
ლითონის ბორკილი ეჭირა ბრჭყალებში
და უცებ, იქუხა სიმღერამ მგზნებარემ.

I w szponach niósł okowy.
Słuchajcie! zagrzmiały spiże,
Zagrzmiały... i ptak w przestrichu,
Uleciał nad świętyń krzyże.
Spojrzał – i nie miał mocy
Patrzeć na wolne narody,
Olśniony blaskiem swobody,
Szukał cienia... i w ciemność uleciał północy.

O wstyd wam! Wstyd wam, Litwini!
Jeśli w Gedymina grodzie
Odpocznie ptak zakrwawiony,
Głos potomności obwini,
Ten naród – gdzie czczą w narodzie
Krwia zardzawiałe korony.

Wam się chylić przed obcymi,
Nam we własnych ufać siłach;
Będziem żyż we własnej ziemi
I we własnych spać mogiłach. –

Do broni, bracia! Do broni!
Oto ludu zmartwychwstanie,
Z ciemnej pognębenia toni,
Z popiołów Feniks nowy

ავარდა ალი და შიშისგან ფრინველი
გუმბათთა ჯვრებს ეცა, დამფრთხალი თვალებით,
შეხედა მიწას და ხალხს გრძნობით ანთებულს
და თვალი მოეჭრა ცეცხლის ელვარებით,

როდესაც ვერ ნახა მან ჩრდილი სულ მცირე,
გაფრინდა წყვედიადში ჩრდილოეთ მხარეში.


სირცხვილი ლიტველნო, სირცხვილი ლიტველნო,
გედიმინთ ქალაქში აწ ბინას დაიდებს
ფრინველი დასვრილი, სისხლით და ნაღველით,
იმ სისხლით რომელიც დანთხია რაინდებს,

და პასუხს მოგთხოვენ თქვენ, თქვენი შვილები,
სისხლისგან დაჟანგულ გვირგვინს რომ აღიდებთ.

თქვენ ქედი მოხარეთ დამპყრობთა წინაშე,
ჩვენ ბედი მივანდეთ ამ ხმლებს და ამ მკლავებს,


Powstał lud – błogosław, Panie!
Niech grzmi pieśń jak w dzień godowy.

Bogarodzico! Dziewico!
Słuchaj nas, Matko Boża,
To ojców naszych śpiew,
Wolności błyszczą zorza,
Wolności bije dzwon
I wolnych płynie krew,
Bogarodzico!
Wolnego ludu krew,
Zanieś przed Boga tron.



ჩვენ ლალად ვიქნებით ჩვენს მშობელ მიწაზე
და ვერვინ წაბილწავს აწი ჩვენს საფლავებს.

ჰე, შევიაარაღდეთ, ავიღოთ მახვილი,
ჩვენ ბრძოლა ფიცხელი ოდითგან ვერ გვლიდა,
მონობის უფსკრული დაეძლიოთ ბოლომდე
და როგორც ფენიქსი, წამოვდგეთ ფერფლიდან,
დალოცე უფალო, ეს ხალხი აღმდგარი,
დღეს აქ ჰქეჰს სიმღერა როგორიც ჩვენ გვინდა!





PREZKŁĘSTWO

DO ***

Przeklęta! Ty wydrałaś ostatnie godziny
Szczęścia mego na ziemi, ty żądłem gadziny
Wygnałaś na samotność! Bądź wiecznie przeklęta! –
Każdy mój jęk – zna ciebie, każda łza – pamięta!

Bo kiedy nieszczęśliwy zaklinałem ciebie,
Abyś mi dała nieco przyjaźni i ciszy,
Toś ty mi łzy w powszednim podawała chlebie,
I jęcząc – z jękiem w sercu mówiłaś: Niech słyszy!

Cierpiałem i uległem... Dziś samotny jestem,
Lecz wiedz, iż samotności okryty żalobą,
Oczy moje obracam za każdym szelestem,
Czekam – ale nie ciebie... Tęsknię – nie za tobą.

Tej czekam omamiony, tej samotny płacząc,
Która mi była siostrą na wygnania ziemi,
Myśląc, że kiedyś duszy oczyma zobaczę
Tę, co w duszę oczyma patrzy anielskimi.



წყევლა

წყევულო! შენ ხელთ გამომგლიჯე ბედნიერება
და არ მაღირსე მე უბედურს მხიარულება,
მარტოობისთვის გამიმეტე. იყავ წყევული!
ჩემი სუნთქვა ხარ, ჩემს ცრემლებში შხამად რეული.

მე უბედური, მუხლმოყრილი გევედრებოდი,
შენგან მცირედი თანაგრძნობა, დუმილი მსურდა,
შენ კი არსობის პურში შხამად მეწვეთებოდი
და გულისკენესით აყოლებდი. - მე ასე მსურდა!

ბევრი ვიტანჯე, დავმარცხდი და დღეს მარტოსული,
შავი ძაძვებით შემოსილი - ხსნას აღარ ველი.
მე შენს ნაბიჯებს ვაკვირდები ცრემლმორეული
და სევდიანი, გულმოკლული, უკვე არ ველი.

გაცრუებული იმედებით დანადვლებული,
მივსტირი მას, ვინც განდევნილი ჩამიკრა გულში,
ვცხოვრობ იმედით, რომ ოდესმე ჩემთან მისული
ციური თვალთ ჩაიხედავს ჩემს ტანჯულ სულში.

A nigdy serca mego nie umiała krwawić;
A tak się ze mną duszą i myślami dzieli,
Że już dziś sami boscy nie wiedzą anieli,
Czy ją dla mnie potępić, czy mnie dla niej zbawić.

A ty! a ty! Co lałaś żółciowe gorycze,
Skoro się otwierała serca mego rana,
O! gorzej, niż przeklęta – widmo tajemnicze
Złej przeszłości – przeklęta bądź i zapomniana!.



არ მიაყენებს დამსხვრეულ გულს ახალ იარებს,
გაიზიარებს ჩემს ფიქრს, ჩემს სულს გაიზიარებს.
ვერ გაუგიათ იმქვეყნიურ ზეციურ ძალებს
ის ჩემია თუ, მე ამქვეყნად მისთვის ვიარე.

შენ კი, - წყეულო, შემზარავო და უბედურო,
ჩემს იარებში ასპიტის შხამად ჩაწვეთებულო,
ო, იღუმალო მოჩვენებავ ამქვეყნიურო,
დამიწყევლიხარ, ყველასაგან მიტოვებულო.





PREZKŁĘSTWO

DO ***

Przeklęta! Ty wydrałaś ostatnie godziny
Szczęścia mego na ziemi, ty żądłem gadziny
Wygnałaś na samotność! Bądź wiecznie przeklęta! –
Każdy mój jęk – zna ciebie, każda łza – pamięta!

Bo kiedy nieszczęśliwy zaklinałem ciebie,
Abyś mi dała nieco przyjaźni i ciszy,
Toś ty mi łzy w powszednim podawała chlebie,
I jęcząc – z jękiem w sercu mówiłaś: Niech słyszy!

Cierpiałem i uległem... Dziś samotny jestem,
Lecz wiedz, iż samotności okryty żałobą,
Oczy moje obracam za każdym szelestem,
Czekam – ale nie ciebie... Tęsknię – nie za tobą.

Tej czekam omamiony, tej samotny płaczę,
Która mi była siostrą na wygnania ziemi,
Myśląc, że kiedyś duszy oczyma zobaczę
Tę, co w duszę oczyma patrzy anielskimi.



წყველა

შენ გამომგლიჯე ნეტარების ბოლო წამებიც,
მარტოობისთვის შენ გამწირე წყეულო მარად,
ჩემს ყოველ სუნთქვას შენ ახსოვხარ ასპიტის შხამო,
ჩემი დაღვრილი ყველა ცრემლი შენით საგსეა.

რადგან, როდესაც უბედური გევედრებოდი,
მოგეცა ჩემთვის ცოტა სითბო და სიმყუდროვე,
შენ ცრემლს მაწვდიდი, და შეზავებულს არსობის პურში,
დავნებდი ტანჯვას და მე ახლა მარტოსული ვარ.

მაგრამ იცოდე, მარტოობის ძაძით მოსილი
გულისფანცქალით ვაკვირდები ყოველ მცირე ჩქამს
და ველოდები მაგრამ გონჯო, მხოლოდ არა შენ,
სევდამ შემიპყრო მაგრამ გონჯო, შენს გამო არა!

ველი, მივტირი მარტოსული იმ თეთრ ანგელოზს,
ვინც უანგაროდ გამიწია დევნილს და-ძმობა,
ველი და მჯერა რომ შევხედები კიდევ ოდესმე,
ვინც ჩემს ტანჯულ სულს ანგელოზის თვალით შეხედა.

A nigdy serca mego nie umiała krwawić;
A tak się ze mną duszą i myślami dzieli,
Że już dziś sami boscy nie wiedzą anieli,
Czy ją dla mnie potępić, czy mnie dla niej zbawić.

A ty! a ty! Co lałaś żółciowe gorycze,
Skoro się otwierała serca mego rana,
O! gorzej, niż przeklęta – widmo tajemnicze
Złej przeszłości – przeklęta bądź i zapomniana!.



ველი, ვინც ჩემს გულს არ გაუხსნის მფეთქავ ჭრილობას,
გაიზიარებს ფიქრებს ჩემსას და სულის შფოთვის,
ანგელოზები მანახვებენ მას ვისაც ველი,
გადამარჩენენ რომ ვიცოცხლო მათ შესახვედრად.

შენ კი ბოროტო, შენ, რომელიც ნაღველს მანთხვედი,
და დაუნდობლად მიჩიქნიდი გულის იარას,
წყევლზე უფრო დაწყევლილო, ბილწო აჩრდილო,
შავი წარსულის მოჩვენებავ, წყევლიმც იყავ!





ROZŁĄCZENIE

Rozłączeni – lecz jedno o drugim pamięta;
Pomiędzy nami lata biały gołąb smutku
I nosi ciągle wieści. Wiem, kiedy w ogródku,
Wiem, kiedy płaczesz w cichej komnacie zamknięta;

Wiem, o jakiej godzinie wraca bolu fala,
Wiem, jaka ci rozmowa ludzi łzę wyciska.
Tyś mi widna jak gwiazda, co się tam zapala,
I łzę różową leje, i skrą siną błyska.

A choć mi teraz ciebie oczyma nie dostać,
Znając twój dom – i drzewa ogrodu i kwiaty,
Wiem, gdzie malować myślą twe oczy i postać,
Między jakimi drzewy szukać białej szaty.

Ale ty próżno będziesz krajobrazy tworzyć,
Osrebrać je księżycem i promieniść świtem:
Nie wiesz, że trzeba niebo zwalić i położyć
Pod oknami i nazwać jeziora błękitem.

ბანშორემა



დავშორდით, მაგრამ, ჩემო ძვირფასო,
კვლავ ძველებურად ხარ ახლობელი,
ახლაც არ მიჭირს, რომ გავიაზრო
რასა იქმ, ანდა სად იმყოფები.

მე ვიცი, როდის იღვიძებ, დგები,
ხარობ თუ სწუხხარ მიუსაფარი.
ჩვენს შორის თეთრი კაეშნის მტრედი
დაფრენს და მოაქვს შენი ამბავი!

და თუმცა ჩემი ვერ გწვდება თვალი,
ძალმიძს გიხილო ბალში გავლილი,
როდესაც მკერდზე დაიბნევ ყვავილს
და თვითხარ, როგორც თეთრი ყვავილი!..

შენ კი, ძვირფასო, რაც უნდა სცადო,
ვერ წარმოიდგენ იმ უღრან ტყეებს,
სადაც მე ლურჯი ტბის პირას ვსახლობ
და შენზე ფიქრში ვატარებ დღეებს.

Potem jezioro z niebem dzielić na połowę,
W dzień zasłoną gór jasnych, w nocy skał szafirem;
Nie wiesz, jak włosem deszczu skalom wieńczyć głowę,
Jak je widzieć w księżycu odkreślone kirem.

Nie wiesz, nad jaką górą wschodzi ta perełka,
Którąm wybrał dla ciebie za gwiazdeczkę-stróża;
Nie wiesz, że gdzieś daleko, aż u gór podnóża,
Za jeziorem, - dojrzałem dwa z okien światelka.

Przywykłem do nich, kocham te gwiazdy jeziora,
Ciemne mgłą oddalenia, od gwiazd nieba krwawsze,
Dziś je widzę, widziałem zapalone wczora,
Zawsze mi świecą – smutno i blado – lecz zawsze...

A ty – wiecznie zagastaś nad biednym tułaczem;
Lecz choć się nigdy, nigdzie połączyć nie mamy,
Zamilkniemy na chwilę i znów się wołamy
Jak dwa smutne słowiki, co się wabią płaczem.

Nad jeziorem Leman, d. 20 lipca 1835 r.

ვერ დაინახავ კუნაპეტ ცაზე
შორს მოციმციმე ობოლ მარგალიტს,
ყოველ ღამით რომ სიამით მავსებს,
რამეთუ ჰქვია „შენი ვარსკვლავი!“

მშვიდობით, ჩემო! დავშორდით მარად,
უიმედობის გვფარავს უკუნი
და შეყვარებულ ბულბულთა მსგავსად
ერთმანეთს ვუხმობთ გულდათუთქულნი.

ლემანის ტბის პირას, 20 ივლისი, 1835 წელი



SUMNIENIE

Przekląłem – i na wieki rzuciłem ją samą,
I wzburzony, nim księżyc zabłysnął wieczorem,
Jużem się od niej długim rozdzielił jeziorem.
A gdy się toń jeziora księżycową plamą
Osrebrzała, gdy wichry zawiewały chłodniej,
Jam jeszcze leciał, - jeszcze uciekałem od niej.

I może bym zapomniał, - bo koń leciał skoro.
Bo mi targały myśli tętniące kopyta.
Gdzie ona ? – oszukana – przeklęta – zabita...
Patrzę na niebo, księżyc, na gwiazdy, jezioro...
Wszak jęk tu nie doleci, wszak łez nie zobaczę.
To jezioro – to fala – to nie ona płacze.

I może bym wspominał... lecz gdy to spostrzegła
Błada światłość księżyca, krok w krok za mną biegła.
Próżno się zatokami wężowymi kręcę,
Wszędy mnie księżycowa kolumna dopadła,
Jakby się ta kobieta do stóp moich kładła,
I niema płaczem, za mną wyciągała ręce.

Rzym, d. 1 maja 1836 r.



სინდისის ქენჯნა

ვწყევლე, დავტოვე და განვცალკევდი,
სამარადღამოდ განვედი მისგან.

მთვარემ სხივებით ტბა რომ მოვერცხლა,
კიდევ გავრბოდი, გავრბოდი მისგან.

კაშკაშა მთვარე ცას ანათებდა,
ჩვენ შორის ვრცელი ტბა გაშლილიყო.
ერთგულმა რაშმა სწრაფად იარა,
რისხვის მაშორა ძველი იარა.

რაში ისე სწრაფად, სწრაფად მიჰქროდა,
იქნებ იგი კიდევ დამევიწყებოდა.
თქარათქური ჩლიქთა, ფიქრი მგრგვინავი
ტანში მშლიდა, მშლიდა ის გამგმირავი.

დაწყევლილი, გვემულ-მიტოვებული
ღმერთა უწყის ახლა იგი სად არის.
მე ვერ მწვდება კვნესა მისი, ქვითინი.
ეს ტბა, ტალღა მისი ცრემლი არ არის.

იქნებ კიდევ დამევიწყებოდა ბოლოს,
მთვარის შუქი თუმცა არ მტოვებს მარტოს.
მან, მტირალმა ქალმა, ცრემლი მაწვიმა,
ხელი მთვარის შუქის მსგავსად მაწვდინა.

რომი, 1 მაისი, 1836 წ.



ROZMOWA Z PIRAMIDAMI

Piramidy, czy wy macie
Takie trumny, sarkofagi,
Aby miecz położyć nagi,
Naszą zemstę w ty bułacie
Pogrześć i nabalsamować,
I na późne czasy schować ?
- Wejdz z tym mieczem w nasze bramy,
Mamy takie trumny, mamy.

Piramidy, czy wy macie
Takie trumny, grobowniki,
Aby nasze męczenniki
W balsamowej złożyć szacie;
Tak by każdy na dzień chwały
Wrócił w kraj, choć trupem cały ?
- Daj tu ludzi tych bez plamy,
Mamy takie trumny, mamy.

Piramidy, czy wy macie
Takie trumny i łzawice,



ბასაშბრეზა პირამიდებთან

პირამიდებო! თქვენი წიალი
თუ უაკლდამებს იარაღს დაღლილს?.. -
ან შერიგებით აღვსილი ხალხის
სიძულვილს მტრისას?.. შეუძლია კი,
შემოუნახოს ხალხს იგი განძი,
ვით სარკოფაგმა - მუმია კაცის?..
- დიახ! წიალი ჩვენი ეყოფა
იარაღს, რისხვას, შურისმგებლობას!

პირამიდებო! თუ შეძლებთ ამდენს:
ვერაგ მომხდურის ბოლოს მძლეველი,
ფერფლი, მამაცი პოლონელების
რომ დავასვენოთ დროებით სადმე
და დავუბრუნოთ უქრობ სანთლებად
ქვეყანას, როცა მკვდრეთით აღსდგება!
- ამ სიწმინდისთვის ჩვენთან ადგილის
მონახვა მართლა არის ადვილი.

პირამიდებო! გაქვთ კი ამდენი
აუზი, ხარო, რაბი უძირო,

By łyzy nasze i tęsknice
Po ojczystych pól utracie
Złać tam razem i ostatek
Czary dolać łzami matek ?
- Wejdz tu, pochyl blade lice,
Mamy na te łzy łzawice.

Piramidy, czy wy macie
Takie trumny zbawicielki,
Aby naród cały, wielki,
Tak na krzyżu, w majestracie
Wnieść, położyć, uśpić cały
I przechować – na dzień chwały ?
- Złóż tu naród, nieś balsamy,
Mamy takie trumny, mamy.

Piramidy, czy została
Jeszcze jaka trumna głucha,
Gdzie bym złożył mego ducha ?
Ażby Polska zmarwychwstała ?
- Cierp i pracuj ! i bądź dzielny,
Bo twój naród nieśmiertelny,
My umarłych tylko znamy,
A dla ducha trumn nie mamy.

იავარქმნილი, სიმწრით უძილო
ხალხის შეუმშრალ ცრემლის დამტევი?
უმანკო, ზვარაკ შვილებზე მწუხარ
დედათა ცრემლებს დაიტევეს მღუღარს?!
